საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" მატერიალური რესურსის შეძენისა და შესაბამისობის გეგმის ვადებთან დაკავშირებით დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა კორესპონდენციით (20/01/2022 #43192), რომლითაც იტყობინებოდა, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში (#53 23.08.2021) კონტრაქტორი კომპანია შპს „მაი მობაილ+", საქონლის მიწოდების დაგვიანების მიზეზით ითხოვდა ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებას, რაც გამოწვეული იყო ტრანსპორტირების პროცესში წარმოშობილი გაუთვალისწინებელი შეფერხებების, კერძოდ პანდემიით გამოწვეული საკონტეინერო კრიზისის და შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებების გამო. ტვირთების გაზრდილი გადაზიდვებით გამოწვეული კოლაფსით შეფერხებული მოწოდებიდან გამომდინარე, კონტრაქტორი საქონლის მიწოდებას ვარაუდობდა 2022 წლის 30 იანვრამდე.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, კოლეჯის მხირდან მოთხოვნილი იქნა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც კონტრაქტორმა ვერ წარმოადგინა. შპს „მაი მობაილ+"-ის განმარტებით, იმის გამო, რომ ჩინური სამთავრობო უწყებები არ აღიარებენ პანდემიას, ჩინეთის მხრიდან არ ხდება აღნიშნულის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაციის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, არ იქნა ფორს-მაჟორის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, 2022 წლის 17 იანვარს, მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების (#53 23.08.2021) ფარგლებში გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლის საფუძველზეც კონტრაქტორმა კომპანიამ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება იკისრა, ხოლო ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 20 თებერვლი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" შეუფერხებლად განხორციელებისა და ავტორიზაციის სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაციამ პროგრამის დარგობრივი მოდულებისთვის („ტყის აღდგენა-გაშენება" - მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 სწავლის შედეგებისთვის და „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება" - მე-4, მე-5, მე-6 სწავლის შედეგებისთვის), რომელთა მატერიალური რესურსის მოწოდებაც ფერხდებოდა, ალტერნატიული განხორციელების ადგილის შერჩევის გადაწყვეტილება მიიღო და გააფორმა ხელშეკრულება შპს „კახეთის კარიბჭესთან", რომლის თანახმად, კომპანია აცხადებს მზაობას მიიღოს თითოეულ ნაკადზე 15 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებას თან ახლავს კომპანიის მფლობელობაში არსებული მოდულებით განსაზღვრული რესურსის (თესლის საშრობი კარდა, თესლის საწმენდი დანადგარი, სარგავი მოწყობილობა, სარგავი აგრეგატი, ამომღები აგრეგატი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი საპლანტაჟე გუთანი, დასაფარცხი აგრეგატი, ამომძირკველი, სათესი კულტივატორი და სხვ.) ჩამონათვალი, სწავლის შედეგების შინაარსი, მათი მიღწევისთვის საჭირო საკონტაქტო საათების მითითებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულებში. განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია ეცნობა ცენტრს.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ხომ არ დადგა პროგრამის განხორციელებისთვის ხელის შემშლელი გარემოებები. საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმის“ სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ მოდულები, რომელთა სწავლის შედეგების განხორციელებაც გაიტანა დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტზე, იწყება სწავლების მე-11 („ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“) და მე-13 („ტყის აღდგენა-გაშენება“) კვირას, ამასთან მოდულების პირველი სწავლის შედეგები თეორიულია, შესაბამისად, სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. (მონიტორინგი განხორციელდა სასწავლო გეგმით მე-12 კვირას).

*ინდიკატორი დაწესებულების მიერ შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“, პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის არსრულყოფილად ფლობის გამო. კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი ამ ეტაპისთვის სრულად უზრუნველყოფილია - უმრავლესობა საკუთარ მფლობელობაშია, ხოლო ცალკეული მოდულების (იხ. ზემოთ) სწავლის შე დეგების განხორციელებისთვის გამოყენებულია პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების რესურსი. ამასთან აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მოდულების სრულყოფილად განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებები არ დამდგარა.*

***პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.***

2. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 20 პირი, მათ შორის დარგობრივი მოდულებისთვის - 2 პირი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2, ზოგად და საერთო დარგობრივ მოდულებში, ხშირ შემთხვევაში 3 პირი. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები (პერიოდი: 08.11.2021-20.11.2021 და 01.12.2021-31.12.2021). წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

***პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოდულებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან შესაბამისობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება. კოლეჯის შიდა რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის, ან სამუშაო, ან სწავლების გამოცდილების მქონე პირი.

   განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ისე სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პედაგოგიური სრული კურსი.

   საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში, ასევე მათ უმრავლესობას აქვს მოდულების სწავლების გამოცდილებაც.

   *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით.

   დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 30 აგვისტოს N290 (ცვლილება N01-4/24, 17.06.2020; 01-4/10 25.01.2021) ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესის" მე-4 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. წესის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი/კოლეჯის

PDF Eraser Free

წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი კომპეტენციით, მისი კვალიფიკაცია ან/და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაშიც, რაც გულისხმობს, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელებას, ისე პროგრამის ადმინსიტრირების პროცესებში ჩართულობასა და მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვას. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო როგორც პროგრამის ადაპტირების, ისე დაგეგმვის და განხორციელების პროცესებში.

5. საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში. სასწავლო რესურსის ელექტრონული საძიებლები (ანბანური, დარგობრივი, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით) განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, ბიბლიოთეკის რუბრიკაში, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მარტივად მოძებნონ სასურველი სახელმძღვანელო. ეპიდმდგომარეობიდან გამომდინარე მომსახურება ძირითადად დისტანციურია, ბიბიოთეკის მკითხველების მიერ ელექტრონული შეტყობინების შემდეგ, ელფოსტაზე ეგზავნებათ მოთხოვნილი ლიტერატურა.

ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. მოთხოვნილი ყველა სახელმძღვანელო ადგილზე აღმოჩნდა, ასევე მითითებული ელექტრონული რესურს, ჩატვირთულია ბიბლიოთეკი ყველა კომპიუტერში.

*საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.*

8. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ („ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“, მუხლი 19.), რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ პირებს შესაბამისი სერვისითა და მხარდაჭერის ღონისძიებებით, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროცესში კვალიფიციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალისტების ჩართვა (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სსსმპ ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციის/მობილობის ტრენერი და სხვ.), სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსის და კოლეჯის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში პროგრამული უზრუნველყოფის, დამხმარე ტექნიკის გამოყენება. ასვე სასწავლო რესურსის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. რეგულაციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ადაპტირებას სსსმ პირების საჭიროებების შესაბამისად, ასვევე წვდომას პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან.

*დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.*

7. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე“ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის ანაზღაურება, დიპლომების ბეჭდვის ხარჯი, სასწავლო მასალები და პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის.

ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი შემუშავებულია დაწესებულების რენტაბელობის განსაზღვრის წესის თანახმად, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციაა. წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დაწესებულება სარგებლობს შემდეგი ფორმულით/თანაფარდობით: პროგრამის ბიუჯეტში სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი უნდა შეადგენდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების 30 %, ამასთანპროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურებისა და სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი ტოლი ან ნაკლები უნდა იყოს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობით მიღებულ შემოსავალზე. დაწესებულების მიერ დადგენილი ბიუჯეტირებისა და რენტაბელობის განსაზღვრის ფორმულა უზრუნველყოფს პროგრამას ფინანსური რესურსით და ასევე მისი განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2022 წლის 01 თებერვლის ბრძანება #01-4/23 „ ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის #01-4/28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
2. საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ დანართები #4.10 და #4.11;
3. მატერიალური რესურსის შესყიდვებთან დაკავშირებული, ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარდგენილი, 20/01/2022 კორესპონდენცია დანართებითურთ;
4. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (17.06.2021 ბრძანება #01-4/23);
5. ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარის დადგენის წესი (05.11.2021 ბრძანება #01-4/211);
6. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მონაწილეთა დასწრების ფურცლები;
7. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
8. ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსის შეფასების შედეგები;
9. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 3. „ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“;
11. პროფესიული განანთლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
12. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
13. საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ და სასწავლო გეგმა;
14. პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები;
15. პროგრამის ხელმძღვანელთან და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
16. პროგრამის მატერიალური რესურსის ნუსხა;
17. მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
18. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული ქსოვა“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მხატვრული ქსოვა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0214 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება N 01-4/31 19.02.2021 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 24 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 75 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შესაბამისია |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული ქსოვა“ სწავლის შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის #590365 გადაწყვეტილებით შპს კოლეჯ “პრესტიჟის“ „მხატვრული ქსოვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კვოტა განისაზღვრა 24 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლა, 12-12 სტუდენტი თითოეულ ჯგუფში). ვიზიტის პერიოსდისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 8 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ-ს მიერ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია აუდიტორიები:

- #304, #305 - A/C გარემო თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის - აღჭურვილია დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით (ჭავლური პრინტერი, საქსოვი მანქანები და ხელსაწყო-ინსტრუმენტები), რომლებიც უზრუნველყოფენ კვოტის ფარგლებში (პროფესიული სტუდენტისთვის 12 სამუშაო ადგილი) პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კაბინეტში მოწყობილია ნართის შეღებვისთვის გარემო (ქურა, შესაბამისი ჭურჭელი), უჟანგავი სპეციალური ნიჟარა (აბაზანა), გამწოვი, საუთაო მაგიდა და ა.შ.
- #409 - ხატვისა და ფერწერისთვის, განკუთვნილი გარემო აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. 12 სამუშაო ადგილით (30 სამხატვრო სკამი/ტუმბო, 15 სახატავი სადგამი, 15 სახატავი დაფა, სხვადასხვა გეომეტრიული და დეკორატიული ფიგურები, ტრაფარეტები, თვალსაჩინოებები, სახატავი საშუალებები);
- მოდულის"ინფორმაციული წიგნიერება 1" განხორციელებისთვის გამოყოფილია B გარემო (პროფესიული სტუდენტისთვის 11 სამუშაო ადგილით). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საჭიროებენ პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტებში (მაგ. „სასტუმრო მომსახურება", „კომპიუტერული ქსელი და სისტემები"), შესაბამისად კოლეჯის B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების" მოდულის განხორციელებისთვის.

პროგრამისთვის გამოყოფილი ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით და მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, საბეჭდი და ასლგადამღები მანქანა) .

ამასთან, გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიების ორგანიზებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი (ხელშეკრულება *#01-23/36, 01.03.2021);* მცირე მეწარმე „ლ.მ." (ხელშეკრულება *#01-23/41, 15.03.2021);* შპს „თუშეთი" (ხელშეკრულება *#01-23/40, 15.03.2021). თითოეული დაწესებულება აცხადებს მზაობას ერთ ნაკადზე მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი.* ხელშეკრულების/მემორანდუმის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

*ინდიკატორი დაწესებულების მიერ შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით", პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის არსრულყოფილად ფლობის გამო. კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი სრულად შეძენილია, ისე, რომ დარგობრივი მოდულების სრულყოფილად განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებები არ დამდგარა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.*

2. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 26 პირი, მათ შორის დარგობრივი მოდულებისთვის 2 პირი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2, ზოგად და საერთო დარგობრივ მოდულებში რიგ შემთხვევაში 3 პირი. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები (პერიოდი: 08.11.2021-20.11.2021 და 01.12.2021-31.12.2021). წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   *პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*

3. დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოდულების შინაარსისის შესაბამის კომპეტენციებთან შესაბამისობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლითა და გასაიბრებით, დასტურდება. კოლეჯის შიდა რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის, ან სამუშაო, ან სწავლების გამოცდილების მქონე პირი.

   განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში, ასევე მათ უმრავლესობას აქვს მოდულების სწავლების გამოცდილებაც.

   *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო როგორც პროგრამის ადაპტირების, ისე დაგეგმვის და განხორციელების პროცესებში.

   პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში გაწერილია მისი-ფუნქცია მოვალეობები, რაც გულისხმობს, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელებას, ისე პროგრამის ადმინსისტრირების პროცესებში ჩართულობასა და მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვას. აღსანიშნავია რომ, პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პირი არის კოლეჯის “პრესტიჟი“ კურსდამთავრებული, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელის მენტორობით ჩართულია სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში. სასწავლო რესურსის ელექტრონული საძიებლები (ანბანური, დარგობრივი, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით) განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, ბიბლიოთეკის რუბრიკაში, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მარტივად მოძებნონ სასურველი სახელმძღვანელო. ეპიდმდგომარეობიდან გამომდინარე მომსახურება ძირითადად დისტანციურია, ბიბიოთეკის მკითხველების მიერ  ელექტრონული შეტყობინების შემდეგ, ელფოსტაზე ეგზავნებათ მოთხოვნილი ლიტერატურა.

   ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. მოთხოვნილი ყველა სახელმძღვანელო ადგილზე აღმოჩნდა, ასევე მითითებული ელექტრონული რესურს, ჩატვირთულია ბიბლიოთეკი ყველა კომპიუტერში.

   ***საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური  ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.***

9. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ („ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“, მუხლი 19.), რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ პირებს შესაბამისი სერვისითა და მხარდაჭერის ღონისძიებებით, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროცესში კვალიფიციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალისტების ჩართვა (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სსსმპ ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციის/მობილობის ტრენერი და სხვ.), სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსის და კოლეჯის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში პროგრამული უზრუნველყოფის, დამხმარე ტექნიკის გამოყენება. ასვე სასწავლო რესურსის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. რეგულაციის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ადაპტირებას სსსმ პირების საჭიროებების შესაბამისად, ასვევე წვდომას პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან.

*დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.*

6. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ,,მხატვრული ქსოვა“ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის ანაზღაურება, დიპლომების ბეჭდვის ხარჯი, სასწავლო მასალები და პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 8 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი გათვლილია 12 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის.

ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი შემუშავებულია დაწესებულების „რენტაბელობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული გაუმჯობესების რეკომენდაციაა. წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დაწესებულება სარგებლობს შემდეგი ფორმულით/თანაფარდობით: პროგრამის ბიუჯეტში სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი უნდა შეადგენდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების 30 %, ამასთანპროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურებისა და სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი ტოლი ან ნაკლები უნდა იყოს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობით მიღებულ შემოსავალზე. დაწესებულების მიერ დადგენილი ბიუჯეტირებისა და რენტაბელობის განსაზღვრის ფორმულა უზრუნველყოფს პროგრამას ფინანსური რესურსით და ასევე მისი განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (17.06.2021 ბრძანება #01-4/23);
2. ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარის დადგენის წესი (05.11.2021 ბრძანება #01-4/211);
3. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მონაწილეთა დასწრების ფურცლები;
4. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
5. ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსის შეფასების შედეგები;
6. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 3. „ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ";
8. პროფესიული განანთლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
9. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
10. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" დირექტორის 2021 წლის 15 მაისის ბრძანება #01-4/81 „ ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული ქსოვა" დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი" დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის #01-4/31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
11. საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული ქსოვა" და სასწავლო გეგმა;
12. პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები;
13. პროფესიულ სტუდენტებთან და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
14. პროგრამის მატერიალური რესურსის ნუსხა და შესყიდვის დოკუმენტაცია;
15. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიული ხელოვნება“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიული ხელოვნება |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება #01-4/29  19.02.2021 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. . თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შესაბამისია |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიული ხელოვნება“ სწავლის შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის #590366 გადაწყვეტილებით შპს კოლეჯ “პრესტიჟის“ „კულინარიული ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კვოტა განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლა, 15-15 სტუდენტი თითოეულ ჯგუფში). ვიზიტის დროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 15 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ-ს მიერ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია აუდიტორია #408 (A გარემო), რომელიც მოწყობილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორია აღჭურვილია სადემოსნტრაციო საშუალებებით, დაფით, კარადებით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდით, კომპიუეტრით, ასლგადამღები და ბეჭდვის მოწყობილობით.

პროგრამის პრაქტიკული განხორციელების მიზნით, კოლეჯის პირველ სართულზე მოწყობილია C გარემო, რომელიც ასევე მოწყობილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო სამზარეულო დაკომპლექტებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ყველა საჭირო ინვენტარით. შეძენილია პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსი. კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი დამონტაჟებულია სასწავლო სამზარეულოსა და კაფეტერიაში. ოთახებში დამონტაჟებულია ტრაპები და გამწოვი მოწყობილობები. C გარემო, სრულად არის აღჭურვილი და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაკვირვებოდნენ პრაქტიკულ მეცადინეობას და გასაუბრებოდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის საფუძველზეც *გაიცა შემდეგი შინაარსის განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ კაბინეტში სასურველია გამოეკრას თვალსაჩინოებები (ინვენტრის მარკირების შესახებ სქემები, მოწყობილობა-დანადგარების გამოყენების ინსტრუქციები, უსაფრთხოების ან/და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები და ა.შ.), რაც სტუდენტებისთვის იქნება დამატებითი სასწავლო რესურსი, ხელს შეუწყობს პროფესიული რუტინული სამუშაოებისთვის საჭირო კომპეტენციების მარტივად დაუფლებას, ასევე თვითკონტროლსა და კონტროლს.*

პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გამოყოფილია“ინფორმაციული წიგნიერება 1“ მოდულისთვის B გარემო მოდულის განხორციელებისა და პროგრამის კვოტის გათვალისწინებით აუცილებელი შესაბამისი აღჭურვით. პროგრამის ფარგლებში ასევე გამოყენებულია აუდიტორია #411 „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის განხორციელებისთვის აუცილებელი შესაბამისი აღჭურვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო ექსკურსიები მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში, ასევე მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ პრაქტიკული კომპონენტის (კერძოდ: მე-2; მე-3, მე-4, მე-5 სწავლის შედეგები) განხორციელება გატანილია პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. ამ მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან. ხელშეკრულებებს თან ახლავს მოდულის შესაბამისი მატერიალური აღჭურვის ნუსხა, რომლითაც ისარგებლებენ პროფესიული სტუდენტები ობიექტზე, სწავლის შედეგების ჩამონათვალი/შინაარსი და მიღწევისთვის საჭირო საკონტაქტო საათები. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, თითოეულ მათგანს შეუძლია მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი (ჯამში მაქსიმუმ 30 სტუდენტი). ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 5 წლით.

ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ დაწესებულებებთან: შპს "სასტუმრო თელავი" ჰოლიდეი ინნ თელავი (#01-23/32(1), 12.02.2021), შპს „ვილლა იყალთო ჰო-რე-კა“ (#01-23/29 (1); 09.02.2021), შპს „შატო ყვარელი“ (#01-23/28(1) 29.02.2021), შპს „ლოპოტა“ (#01-23/19(1)); შპს "შატო მერე"( #01-23/20 (1), 08.02.2021), შპს „ბუნებრივი აირი“ ( #01-23/21(1) 08.02.2021).

*ინდიკატორი დაწესებულების მიერ შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“, პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის არასრულყოფილად ფლობის გამო. კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი უზრუნველყოფილი იქნა ისე, რომ დარგობრივი მოდულების სრულყოფილად განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებები არ დამდგარა.*

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.***

2. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია შერჩეულია 26 პირი, მათ შორის დარგობრივი მოდულებისთვის 2 პირი. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2, ზოგად და საერთო დარგობრივ მოდულებში, ხშირ შემთხვევაში 3 პირი. ვიზიტის დროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოწმებული იქნა პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები (პერიოდი: 08.11.2021-20.11.2021 და 01.12.2021-31.12.2021). წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

*პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*

3. დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოდულების შინაარსისის შესაბამის კომპეტენციებთან შესაბამისობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დასტურდება. კოლეჯის შიდა რეგულაციით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის, ან სამუშაო, ან სწავლების გამოცდილების მქონე პირი.

   განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში, ასევე მათ უმრავლესობას აქვს მოდულების სწავლების გამოცდილებაც. ამასთან წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული იქნა რეკომენდაცია პერსონალის გადამზადების შესახებ, რაც ასევე წარმოადგენდა დაწესებულების შესაბამისობის გეგმის ერთ-ერთ ამოცანას. დაწესებულების მიერ ჩატარებულია ტრენინგები საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლებისთვის შეფასების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო განხორციელბულ ტრენინგებზე მონაწილეთა დასწრების ფურცლები.

   *პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო როგორც პროგრამის ადაპტირების, ისე დაგეგმვის და განხორციელების პროცესებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში გაწერილია მისი-ფუნქცია მოვალეობები, რაც გულისხმობს, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელებას, ისე პროგრამის ადმინსიტრირების პროცესებში ჩართულობასა და მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში. სასწავლო რესურსის ელექტრონული საძიებლები (ანბანური, დარგობრივი, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით) განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, ბიბლიოთეკის რუბრიკაში, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მარტივად მოძებნონ სასურველი სახელმძღვანელო. ეპიდმდგომარეობიდან გამომდინარე მომსახურება ძირითადად დისტანციურია, ბიბიოთეკის მკითხველების მიერ ელექტრონული შეტყობინების შემდეგ, ელფოსტაზე ეგზავნებათ მოთხოვნილი ლიტერატურა.

   ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. მოთხოვნილი ყველა სახელმძღვანელო ადგილზე აღმოჩნდა, ასევე მითითებული ელექტრონული რესურს, ჩატვირთულია ბიბლიოთეკი ყველა კომპიუტერში.

   ***საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.***

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ადაპტირებას სსსმ პირების საჭიროებების შესაბამისად. ამისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს „ პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები“ („ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“, მუხლი 19.), რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ პირებს შესაბამისი სერვისით და მხარდაჭერის ღონისძიებებით, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროცესში კვალიფიციური სპეციალისტების ჩართვა (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სსსმპ ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციის/მობილობის ტრენერი და სხვ.), სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსის და კოლეჯის ინფრსატრუქტურის

PDF Eraser Free

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში პროგრამული უზრუნველყოფის, დამხმარე ტექნიკის გამოყენება. ასევე სასწავლო რესურსის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება.

*ვიზიტის დროს ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასაუბრებოდნენ სსსმ სტუდენტებს. „კულიანრიული ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს მეტყველების შეზღუდვის მქონე პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ საჭიროებს საგანმანათლებლო პროცესში სპეციალისტების ჩართვას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამას ეუფლება ჯგუფთან ერთად, პროფესიული განათლების მასწავლებლის დახმარებით (პროფესიული სტუდენტი საჭიროებს ნელი ტემპით მეტყველებას/ნათქვამის გამოერებას). ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაკვირბვებოდნენ სასწავლო პროცესს, ასევე გასაუბრებოდნენ პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც კმაყოფილება გამოხატა კოლეჯის მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებით, მათ შორის სასწავლო პროცესსა და რესურსთან დაბრკოლებების გარეშე ჩართულობისა და წვდომის შესახებ.*

***დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.***

7.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიული ხელოვნება“ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის ანაზღაურება, დიპლომების ბეჭდვის ხარჯი, სასწავლო მასალები და პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი გათვლილია 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის.

ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი შემუშავებულია დაწესებულების „რენტაბელობის განსაზღვრის წესის“ თანახმად, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული გაუმჯობესების რეკომენდაციაა. წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის, დაწესებულება სარგებლობს შემდეგი ფორმულით/თანაფარდობით: პროგრამის ბიუჯეტში სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი უნდა შეადგენდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების 30 %, ამასთანპროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მასწავლებლების შრომის ანაზღაურებისა და სასწავლო მასალის მინიმალური ხარჯი ტოლი ან ნაკლები უნდა იყოს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობით მიღებულ შემოსავალზე.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული იქნა გაუმჯობესების რეკომენდაცია კორექტირებულიყო ბიუჯეტი და დადგენილი რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით, განახორციელებულიყო შემოსავლების და ხარჯების ნაწილის დაზუსტება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რეკომენდაციების გათვალისწინებით კორექტირებული ბიუჯეტი თარიღით 05.11.2021.

დაწესებულების მიერ დადგენილი ბიუჯეტირებისა და რენტაბელობის განსაზღვრის ფორმულა უზრუნველყოფს პროგრამას ფინანსური რესურსით და ასევე მისი განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (17.06.2021 ბრძანება #01-4/23);
2. რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრის წესი (05.11.2021 ბრძანება 01-4/211);
3. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მონაწილეთა დასწრების ფურცლები;
4. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
5. ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსის შეფასების შედეგები;
6. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 3. „ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“;
8. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
9. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება (08.11.2021 #01-17/194);
10. საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიული ხელოვნება“ და სასწავლო გეგმა;
11. პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლები;
12. პროფესიულ სტუდენტებთან და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
13. პროგრამის მატერიალური რესურსის ნუსხა;
14. მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
15. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კონდიტერია |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | ბრძანება #01-4/30, 19.02.2021 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შესაბამისია |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიული ხელოვნება“ სწავლის შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის #590367 გადაწყვეტილებით შპს კოლეჯ “პრესტიჟის“ „კონდიტერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის კვოტა განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლა, 15-15

PDF Eraser Free
სტუდენტი თითოეულ ჯგუფში). ვიზიტის დროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა 14 პროფესიული სტუდენტი.

